

სახეობისა და კულტურის პრობლემა ადამიანის ევოლუციის პროცესში (შუა
და ზედა პლეისტოცენის ჰომინინების მაგალითზე)

მართა თაქთაქიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ თუმბრაშიშვილი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მართა თაქთაქიშვილი

15.06.2023

სარჩევი

აბსტრაქტი	1
Abstract	2
შესავალი	3
კვლევის მიზანი და საკვლევო კითხვები.....	5
მეთოდოლოგია	7
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
<i>სახეობა და მისი კონცეფციები.....</i>	8
<i>ადამიანის ევოლუციის ჰიპოთეზების და თეორიების მოკლე მიმოხილვა.....</i>	13
<i>Homo heidelbergensis - სახეობის მიმოხილვა.....</i>	19
<i>Homo heidelbergensis - სახეობის ანატომიური მახასიათებლები.....</i>	20
<i>Homo neanderthalensis - სახეობის მიმოხილვა.....</i>	21
<i>Homo neanderthalensis - ანატომიური მახასიათებლები</i>	23
<i>Homo sapiens - სახეობის მიმოხილვა.....</i>	29
<i>Homo sapiens - ანატომიური მახასიათებლები.....</i>	32
<i>შუა-ზედა პალეოლითის ქვის კულტურები.....</i>	34
დისკუსია	40
დასკვნა.....	46
ბიბლიოგრაფია.....	49

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში მიმოხილულია არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა და შესწავლის პროცესში არსებული სახეობისა და კულტურის ურთიერთკავშირის პრობლემები. არსებული საკითხი რამდენიმე ათწლეულია არ კარგავს აქტუალობას და მუდმივი განხილვის საგანია.

სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია უახლესი არქეოლოგიური კვლევები და წყაროები, რომლებიც ერთგვარ ჩარჩოს ქმნის საკითხის გარშემო. ნაშრომში განხილულია ქვის ხანის კულტურა, სახეობის რაობა და მათი ურთიერთმიმართების კონცეფციები. ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, განხილულია და აღწერილია შუა და ზედა პლეისტოცენის სამი სახეობის - *Homo heidelbergensis*-ის, *Homo neanderthalensis*-ისა და *Homo sapiens*-ის ანატომიური მახასიათებლები.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოჩნდა, რომ სახეობათა და მათი თანადროული კულტურების საკითხი, მათი დაკავშირება ერთმანეთთან საკმაოდ კომპლექსური და რთული პროცესია. კულტურებისა და სახეობების არასწორი დაკავშირება, ან წინასწარი ვარაუდები, შესაძლოა არასწორი შედეგების მომცემიც კი აღმოჩნდეს, რისი შემთხვევებიც აღნიშნულ სახეობებზე მუშაობის დროს რამდენიმე არქეოლოგიურ ველზე გამოვლინდა. ნაშრომმა აჩვენა, რომ განხილულ სამ სახეობას - *Homo heidelbergensis* ს, *Homo neanderthalensis*-ისა და *Homo sapiens*-ს როგორც მსგავსი, ისე ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული ანატომიური მახასიათებლები აქვთ, რომელთა ნაწილიც ავტაპომორფულადაა მიჩნეული.

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი საინტერესო იქნება არქეოლოგებისათვის, პალეოანთროპოლოგებისა და მომიჯნავე დარგის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ადამიანის ევოლუციის პროცესის საკითხების შესწავლით.

საკვანძო სიტყვები: შუა-ზედა პლეისტოცენი, *Homo heidelbergensis*, *Homo neanderthalensis*, *Homo sapiens*, სახეობა, არქეოლოგიური კულტურა, ანატომია.

Abstract

Following master's thesis discusses problems archaeological research faces in terms of relationship of culture and species. This issue has not lost its relevance for several decades and is a subject of constant discussion.

The Master's thesis uses the latest archaeological research and sources that create a framework around this issue. Following paper discusses the culture of the Stone Age, the essence of species and the concepts of their relationship. Based on the aim of this thesis, the anatomical characteristics of three species of the middle and upper Pleistocene – *Homo heidelbergensis*, *Homo neanderthalensis* and *Homo sapiens* – are discussed and described.

During the process of working on this thesis, it became apparent that the issue of species and their contemporary cultures, their connection with each other is a rather complex and difficult process. Disassociating cultures and species, or preconceived notions, may even be misleading as the case has been at several archaeological sites during work on these species. The papers showed that the three considered species - *Homo heidelbergensis*, *Homo neanderthalensis* and *Homo sapiens* have both similar and quite different anatomical characteristics, some of which are considered autapomorphic.

This master's thesis may be interesting for archaeologists, paleoanthropologists and representatives of related fields who are interested in studying the issues of the human evolution process.

Key words: Middle-Upper Pleistocene, *Homo heidelbergensis*, *Homo neanderthalensis*, *Homo sapiens*, specie, archaeological culture, anatomy.